რევანში არ შედგა

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 13 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 1:2 (1:1).

“დინამო”: მესხია (გაბელია), კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე, დარასელია, ჭილაია, კაკილაშვილი, გუცაევი (ჩელებაძე), ყიფიანი, შენგელია.

“ნეფთჩი”: ნიკოლაევი, გარიბოვი, ა. აბდულაევი, უზბეკოვი, ხუდიევი, მიხაილევსკი, იბრაჰიმოვი, ნურმამედოვი (ო. აბდულაევი), პონომარიოვი, ყურბანოვი, ჯავადოვი (ახმედოვი).

მსაჯი: ვ. ბუდენკო.

ამ ვითარებაში, რომელიც ახლაა შექმნილი საკავშირო ჩემპიონატში, თბილისის ”დინამოს” მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრა. სხვა შედეგი მას, უბრალოდ, არ აძლევდა ხელს. მართლაც, დაიწყო თუ არა თამაში, მასპინძლებმა განუწყვეტელი იერიშებით თითქმის ზედ კართან მიაჯაჭვეს მეტოქე. “ნეფთჩის” საჯარიმო მოედანზე შეიქმნა ერთი სახიფათო მომენტი, მეორე, მესამე… 15 წუთი იგერიებდნენ ამ შეტევას მცველები და მეკარე ნიკოლაევი, მერე კი შენგელიამ შეძლო წამით დაესწრო მოწინააღმდეგეებისთვის და გოლიც გატანილი იქნა – 1:0.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, დინამოელები დაწინაურდნენ, ინიციატივასაც მთლიანად ისინი ფლობდნენ, “ცა” უღრუბლო ჩანდა, წარმატებას წუთი–წუთზე ველოდით.

მაგრამ ბაქოელებმა სწორად გადაწყვიტეს, რომ ღრმა დაცვის ტაქტიკა მათ აღარ გამოადგებოდათ, ამიტომ მაქსიმალურად გააძლიერეს თამაში, რაც უმთავრესად გამოიხატებოდა სისტემატურ, სწრაფ კონტრიერიშებში, რომელთა დროს მასპინძელთა მცველები ყოველთვის ვერ იცავდნენ ურთიერთდაზღვევის პრინციპს, “ნეფთჩის” ერთ–ერთი ასეთი მანევრის დროს ღიად დარჩა ჯავადოვი და ფლანგიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა – 1:1.

განახლდა თუ არა თამაში, 50–ე წუთზე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა ბაქოელთა მარჯვენა მცველი გარიბოვი, ამ მომენტში მას არავინ უშლიდა ხელს, გარიბოვმაც ბურთი შორიდან გაგზავნა კარში, მესხია უძლური აღმოჩნდა რამე მოემოქმედა – 2:1.

დრო საკმარისზე მეტი იყო საიმისოდ, რომ დინამოელებს ეხსნათ თუნდაც ქულა, შესაძლებლობაც არაერთხელ ჰქონდათ (შენგელია, ჩელებაძე, კაკილაშვილი), მაგრამ არცერთი მათგანი გამოყენებული ვერ იქნა. თბილისის “დინამომ” წლევანდელ ჩემპიონატში მეორე მარცხი განიცადა “ნეფჩისთან”.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 14 სექტემბერი, 1980 წ.